



European School LTD
შპს ევროპული სკოლა

შპს „ევროპული სკოლის“ ელექტრონული უსაფრთხოების პოლიტიკა

განხილვის სიხშირე: ყოველწლიური

მომზადდა: ინოვაციური ტექნოლოგიების დეპარტამენტის უფროსმა, ინფორმაციული ტექნოლოგიების მენეჯერმა

პოლიტიკა დაწერილია: 2018 წლის სექტემბერში

ბოლო განახლების თარიღი: 2021 წლის ნოემბერი

ბოლოს განახლდა: ინოვაციური ტექნოლოგიების დეპარტამენტის მიერ

ს. შიშ

სოფიო ბაზაძე
დირექტორი



2, I. Skhirtladze st.
0177 Tbilisi, Georgia
Tel: (032) 239 59 64
info@europeanschool.ge
www.europeanschool.ge

რატომ არის ინტერნეტით სარგებლობა მნიშვნელოვანი?

შპს „ევროპულ სკოლაში“ (შემდგომში „ევროპული სკოლა“ ან „სკოლა“) ინტერნეტით სარგებლობის მიზანია საგანმანათლებლო სტანდარტების ამაღლება, მოსწავლეთა წარმატების ხელშეწყობა, პერსონალის პროფესიული მუშაობის მხარდაჭერა და სკოლის მართვის ინფორმაციული და ადმინისტრირების სისტემების გაძლიერება.

ინტერნეტით სარგებლობა სასკოლო პროგრამის განუყოფელი ნაწილია და ძალიან მნიშვნელოვანი საშუალებაა სასწავლო პროცესისთვის. ის 21-ე საუკუნის სასკოლო განათლების არსებითი ელემენტია. აქედან გამომდინარე, ინტერნეტთან წვდომას არსებითი მნიშვნელობა აქვს მოსწავლეებისთვის მაღალი ხარისხის განათლების მისაღებად.

სკოლა ვალდებულია უზრუნველყოს მოსწავლეები მაღალსიჩქარული ინტერნეტ კავშირით. მოსწავლეები ისარგებლებენ ინტერნეტით სკოლაში და ისწავლიან, თუ როგორ უნდა შეაფასონ ინტერნეტში მოძიებული ინფორმაცია და იზრუნონ საკუთარ უსაფრთხოებაზე.

საგანმანათლებლო პროცესში ინტერნეტით სარგებლობის პრივილეგიები მოიცავს შემდეგს:

- წვდომა მსოფლიო საგანმანათლებლო რესურსებთან, სამეცნიერო სტატიების, მუზეუმების, სამხატვრო გალერეების, ბიბლიოთეკებისა და ა.შ. ჩათვლით.
- ინსტრუმენტები, როგორიცაა ვებსაიტები, აპლიკაციები, სასწავლო თამაშები, ელექტრონული წიგნები და ვირტუალური სწავლება, ეხმარება მოსწავლეს საკუთარი ტემპებით სწავლაში.
- საგანმანათლებლო და კულტურული გაცვლითი პროგრამები მოსწავლეებს შორის მსოფლიო მასშტაბით;
- წვდომა ექსპერტებთან მრავალ სფეროში მოსწავლეებისა და სკოლის პერსონალის მხრიდან;
- სკოლის პერსონალის პროფესიული განვითარება ეროვნული და საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნების მიხედვით, საგანმანათლებლო მასალებისა და ეფექტური სასწავლო პროგრამის საშუალებით;
- ონლაინ კურსები წამყვანი საგანმანათლებლო დაწესებულებებისგან;
- თანამშრომლობა ეროვნულ და საერთაშორისო საგანმანათლებლო ორგანიზაციებთან და პროფესიულ გაერთიანებებთან. გაუმჯობესებული წვდომა ციფრული ტექნოლოგიების ტექნიკურ მხარდაჭერასთან, ქსელების დისტანციური მართვისა და კომპიუტერული სისტემის ავტომატური განახლებების ჩათვლით;
- სხვადასხვა მონაცემების გაცვლა სკოლაში მიმდინარე სასწავლო პროცესის მონაწილეებს შორის;
- სკოლის მოსწავლეების მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან (შემდგომში - მშობელი) გამარტივებული კომუნიკაცია;
- ურთიერთქმედებისა და სწავლის კარგი შესაძლებლობები თანატოლებისგან სხვა სკოლებიდან, ბიზნეს ლიდერებისგან, დარგის ექსპერტებისგან და სხვა პირებისგან;
- ელექტრონული სწავლების პლატფორმების, ინსტრუმენტების, ვებსაიტების გამოყენება მასწავლებლებთან, მოსწავლეებთან კომუნიკაციისთვის.
- და ა.შ.

პოლიტიკის მოქმედების სფერო

წინამდებარე პოლიტიკა ვრცელდება სასწავლო პროცესის ყველა მონაწილეზე, პერსონალის, მშობლებისა და ვიზიტორების ჩათვლით, რომლებსაც აქვთ წვდომა სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების სისტემებთან და არიან მათი მომხმარებლები. ამ პოლიტიკაში „პერსონალი“ მოიცავს სკოლის არაპედაგოგიურ პერსონალს, სკოლის მენეჯმენტს და სტაჟიორებს, „მშობლები“ მოიცავს სკოლის მოსწავლეთა მშობლებს და სხვა კანონიერ წარმომადგენლებს, ხოლო „ვიზიტორები“ მოიცავს ნებისმიერ პირს, რომელიც ხვდება სკოლის ტერიტორიაზე. როგორც ეს პოლიტიკა, ასევე ევროპული სკოლის ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენების პოლიტიკა მოიცავს სკოლის მიერ უზრუნველყოფილ ფიქსირებულ და მობილურ ინტერნეტ ხელსაწყოებს (როგორიცაა, პერსონალური კომპიუტერები, ლეპტოპები, ვებ-კამერები და ციფრული ვიდეო ტექნიკა), ასევე ყველა ხელსაწყოს, რომელსაც ფლობენ მოსწავლეები, პერსონალი ან ვიზიტორები და რომელიც მოტანილია სკოლის ტერიტორიაზე, პერსონალური ლეპტოპების, პლანშეტებისა და სმარტფონების ჩათვლით.

ავტორიზებული წვდომა ინტერნეტთან

- სკოლა აწარმოებს მთელი პერსონალისა და ყველა მოსწავლის მიმდინარე აღრიცხვას, რომლებსაც მინიჭებული აქვთ ინტერნეტთან წვდომა.
- სკოლა პერსონალის ყველა წევრსა და ყველა მოსწავლეს უზრუნველყოფს ელ-ფოსტით @europeanschool.ge და @americanhighschool.ge სერვერზე.
- ყველა მოსწავლემ და მშობელმა უნდა წაიკითხოს სკოლის მიერ მათ ელექტრონულ ფოსტაზე გადაზავნილ „ევროპული სკოლის ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენების პოლიტიკას“ სკოლის ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების რესურსების გამოყენებამდე.

გლობალური კომპიუტერული ქსელი

თუ პერსონალი ან მოსწავლეები აღმოაჩენენ მიუღებელ საიტებს, სკოლის ელექტრონულ უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელ ინფორმაციული ტექნოლოგიების მენეჯერს უნდა ეცნობოს საიტის URL (მისამართი), დრო, კონტენტი.

სკოლამ მოსწავლეებს უნდა ასწავლოს, თუ როგორ მოიძიონ ინფორმაცია ინტერნეტში და როგორ მოახდინონ მისი სიზუსტის დადასტურება.

ელ-ფოსტა

მოსწავლეებსა და პერსონალს შეუძლია მხოლოდ სკოლის ელ-ფოსტის ანგარიშების გამოყენება სკოლის სისტემაში (@europeanschool.ge და @americanhighschool.ge დომენებით).

მოსწავლეებმა დაუყოვნებლივ უნდა აცნობონ მასწავლებელს, შეურაცხმყოფელი ელ-ფოსტის შეტყობინების მიღების შემთხვევაში. მოსწავლეებმა არ უნდა გაამჟღავნონ პირადი ან სხვათა ინფორმაცია ელექტრონულ მიმოწერაში და არ უნდა დაგეგმონ ვინმესთან შეხვედრა კონკრეტული ნებართვის გარეშე.

სკოლის ელექტრონული ფოსტის ანგარიშების გამოყენებით გაგზავნილი გაგზავნილი ელ-ფოსტის შეტყობინება (ელექტრონული წერილი) ყურადღებით უნდა იყოს დაწერილი და ისე გაგზავნილი.

სოციალური ქსელები

სკოლაში მოსწავლეებს ურჩევნ, რომ არასოდეს მიაწოდონ თავიანთი პირადი მონაცემები რომელიმე უცნობ პირს.

მოსწავლეებს ურჩევნ, რომ არ განათავსონ პირადი ფოტოები ნებისმიერი სოციალური ქსელის სივრცეში.

სკოლა მოსწავლეებს განუმარტავს და ასწავლის, რომ მათ უნდა დააყენონ/გამოიყენონ ძლიერი პაროლები, უარი უთხრან წვდომაზე უცნობ პირებს და დაბლოკონ არასასურველი კომუნიკაცია.

უახლესი ტექნოლოგიების მართვა

უახლესი ტექნოლოგიები შემოწმებულ იქნება საგანმანათლებლო უპირატესობის მხრივ და სკოლაში მათ გამოყენებაზე ნებართვის გაცემამდე ჩატარდება რისკების შეფასება.

მოსწავლეები ინფორმირებულ უნდა იქნან იმაზე, რომ:

- გაკვეთილების ან ფორმალური სასკოლო დროის პერიოდში არაა ნებადართული მობილური ტელეფონებით სარგებლობა პირადი მიზნებისთვის.
- აკრძალულია შეურაცხმყოფელი ან არაკორექტული ტექსტობრივი შეტყობინებების გაგზავნა.

მოსწავლეთა ფოტოებისა და ნაშრომების გამოქვეყნება

ფოტოები, რომლებზეც მოსწავლეები არიან აღბეჭდილი, სიფრთხილით უნდა იქნას შერჩეული და უნდა იძლეოდეს ცალკეული მოსწავლეების ზუსტი იდენტიფიცირების საშუალებას.

მოსწავლეების სრული სახელები არ უნდა იქნას გამოყენებული ვებსაიტზე ან ბლოგში, განსაკუთრებით ფოტოებთან დაკავშირებით.

სკოლის ვებსაიტზე მოსწავლეთა ფოტოების გამოქვეყნებაზე მშობლებისგან მიღებულ იქნება წერილობითი ნებართვა.

მოსწავლის ნაშრომი შეიძლება გამოქვეყნებული იქნას მხოლოდ მოსწავლისა და მშობლების ნებართვით.

ინფორმაციული სისტემის უსაფრთხოება

სკოლის ინფორმაციულ-საკომუნიკაციო სისტემების შესაძლებლობები და უსაფრთხოება რეგულარულად იქნება შემოწმებული, დაინსტალირდება და რეგულარულად შემოწმდება ვირუსებისგან დაცვა.

სკოლის ქსელში არსებობს ძლიერი დაცვა ქსელთაშორისი ევრანის საშუალებით. სპამ ელ-ფოსტის შეტყობინებები და გარკვეული მიზნული ფაილები ავტომატურად დაიბლოკება ელ-ფოსტის სისტემის მიერ. თუ ეს პრობლემებს იწვევს სასკოლო მუშაობის ან კვლევის მიზნებისთვის, მოსწავლეებს დახმარებისთვის შეუძლიათ მიმართონ IT მენეჯერს.

უსაფრთხოების სტრატეგიები განხილულ იქნება სკოლის მმართველობასთან.

პერსონალური მონაცემების დაცვა

პერსონალური მონაცემების დაფიქსირება, დამუშავება, გადაცემა და მიწოდება განხორციელდება სკოლის პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკის შესაბამისად.

მონაცემების შენახვა და დამუშავება

სკოლა ძალიან სერიოზულად უდგება პერსონალურ მონაცემთა დაცვის კანონმდებლობის მოთხოვნებს. დამატებითი დეტალებისთვის გთხოვთ იხილოთ პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკა.

პერსონალმა და მოსწავლეებმა თავიანთ სამუშაოსთან დაკავშირებული ყველა მონაცემი უნდა შეინახონ სკოლის Google Drive ანგარიშზე ან სკოლის ცენტრალურ სერვერზე.

სკოლა რეკომენდაციას აძლევს მოსწავლეებს და მასწავლებლებს, რომ კომპიუტერის გარე მეხსიერების მატარებლები იყოს კოდირებული ან პაროლით დაცული.

პერსონალს შეუძლია ინფორმაციის გატანა სამუშაო ადგილის გარეთ მხოლოდ დირექციის ნებართვის არსებობის შემთხვევაში და მხოლოდ მაშინ, როცა ეს აუცილებელი და საჭიროა თავიანთი ფუნქციების შესასრულებლად.

პერსონალის ან მოსწავლეების/მშობლების, ასევე სკოლის მიერ ან სკოლის უფლებამოსილი პირის მიერ დამუშავებული პერსონალური მონაცემები არ უნდა იქნას შენახული პერსონალურ მეხსიერების ბარათებზე ან პერსონალურ ონლაინ შენახვის პლატფორმებზე, არამედ შენახულ უნდა იქნას სკოლის სერვერზე ან სკოლის Google Drive-ზე.

უსაფრთხოების ნებისმიერი დარღვევის ან დარღვევის მცდელობების, ტექნიკის დაკარგვის ან ინფორმაციული ტექნოლოგიების ნებისმიერი უნებართვო გამოყენების ან საეჭვო ბოროტად გამოყენების თაობაზე დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს ინფორმაციული ტექნოლოგიების მენეჯერს.

რისკების შეფასება

სკოლა გაატარებს უსაფრთხოების ყველა გონივრულ ზომას არაკორექტულ მასალასთან წვდომის თავიდან ასაცილებლად.

თუმცა, საერთაშორისო მასშტაბისა და ინტერნეტ კავშირის წყალობით, შეუძლებელია იმის გარანტირება, რომ არაკორექტული მასალა არასოდეს გამოჩნდება სკოლის კომპიუტერში.

სკოლა ვერ აიღებს პასუხისმგებლობას ინტერნეტთან წვდომის ნებისმიერ შედეგებზე.

სკოლა ჩაატარებს ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენების აუდიტს იმის დასადგენად, არის თუ არა ელექტრონული უსაფრთხოების პოლიტიკა ადეკვატური და რომ წინამდებარე პოლიტიკის მოთხოვნები სათანადოდ ხორციელდება.

ელ-უსაფრთხოებასთან დაკავშირებული საჩივრების მართვა

ევროპულ სკოლაში ელექტრონულ უსაფრთხოებასთან დაკავშირებით პერსონალის, მოსწავლის ან მშობლის პრობლემის/საჩივრის მოსაგვარებლად მიღებულ უნდა იქნას დაუყოვნებელი ქმედებები. საჩივრები პირველ რიგში გადამისამართებული უნდა იქნას ინფორმაციული ტექნოლოგიების მენეჯერთან, რომელიც ურთიერთქმედებს სკოლის მენეჯმენტთან და საჭიროებისამებრ ატარებს საკითხის მოკვლევას.

ნებისმიერი მომხმარებლის მიერ არაკორექტულ მასალებთან განზრახ წვდომა გამოიწვევს ინციდენტის დაფიქსირებას ინფორმაციული ტექნოლოგიების მენეჯერის მიერ.

პერსონალის მხრიდან ელექტრონული ტექნოლოგიების არამართლზომიერი გამოყენების ფაქტი უნდა ეცნობოს სკოლის დირექტორს.

ბავშვის დაცვასთან დაკავშირებული საჩივრებისა და პრობლემების მოგვარება უნდა მოხდეს სკოლაში მოქმედი ბავშვთა უფლებების დაცვასთან დაკავშირებული პროცედურების შესაბამისად.

მოსწავლეები და მშობლები ინფორმირებულ იქნებიან საჩივრების პროცედურასთან დაკავშირებით.

პოლიტიკის შესახებ ინფორმირება

მოსწავლეები

- მოსწავლეთა მიერ ინტერნეტთან წვდომის წესები გამოქვეყნებულ იქნება ყველა კლასში. მოსწავლეები ინფორმირებული იქნებიან იმის თაობაზე, რომ ინტერნეტით სარგებლობაზე ხორცილდება მონიტორინგი.

პერსონალი

- პერსონალის ყველა წევრს გადაეცემა/გადაეგზავნება სკოლის ელექტრონული უსაფრთხოების პოლიტიკა და განემარტება მისი მნიშვნელობა. პერსონალისთვის ცნობილი უნდა იყოს, რომ ინტერნეტ ტრაფიკზე შესაძლებელია მონიტორინგისა და კონტროლის განხორციელება ცალკეული მომხმარებლის მიხედვით.

მშობლები

- სკოლა უზრუნველყოფს „ელექტრონული უსაფრთხოების პოლიტიკის“ და „ტექნოლოგიური სახელმძღვანელო მშობლებისა და მოსწავლეებისთვის“ გამოქვეყნებას სკოლის ვებგვერდზე, რომ ხელმისაწვდომი იყოს მოსწავლეებისთვის, მშობლებისთვის და პედაგოგებისთვის.

ონლაინ და შერეული სწავლება

ონლაინ და შერეული/ჰიბრიდული სწავლება შესაძლოა საჭირო გახდეს გაუთვალისწინებელი საკითხების გამო, მაგალითად, COVID-19-ის გლობალური მდგომარეობის ფარგლებში.

ონლაინ და შერეული/ჰიბრიდული სწავლების დროს სწავლის მაღალი ხარისხი, თვითდისციპლინისა და პოზიტიური გარემო დაცულია, ისევე როგორც ფიზიკურ კლასებში.

ონლაინ და შერეული/ჰიბრიდული სწავლების მიზანია უზრუნველყოს სწავლის გაგრძელება სკოლის ნაწილობრივ ან სრულად დისტანციურ სწავლებაზე გადასვლის შემთხვევაში. ასევე მთავარ მიზანს წარმოადგენს სწავლა-სწავლების მაღალი ხარისხით გაგრძელება, მოსწავლეთა და მასწავლებელთა ონლაინ უსაფრთხოების დაცვა, რაც დამატებით სირთულეებს ქმნის, როდესაც მოსწავლეები და მასწავლებლები მუშაობენ ონლაინ და შერეულ/ჰიბრიდულ გარემოში.

ინოვაციური ტექნოლოგიების გამოყენებით სწავლა-სწავლებას ახლავს სირთულეები, აქვს მოსწავლის ქცევის, მართვისა და სწავლის პროცესში მოსწავლეთა ჩართულობის პრობლემები. ამიტომაც მასწავლებლებს ეძლევათ კონტროლი ონლაინ და შერეულ სასწავლო გარემოზე. ეს პროცესი მოიცავს კონტროლს თუ ვინ ესწრება გაკვეთილს, ვის შეუძლია ლაპარაკი ონლაინ გაკვეთილის დროს, რისი ჩვენება და გაზიარება მოხდება გაკვეთილის მანძილზე და ა.შ.

მასწავლებელი უნდა ფლობდეს ონლაინ და შერეული სწავლების პრაქტიკას და მოსწავლეს უნდა განუმარტოს ქცევითი მოლოდინი ონლაინ სწავლების ფარგლებში.

დაცვა სკოლის დახურვის / ნაწილობრივი დახურვის დროს

ონლაინ სწავლების დროს მშობლებმა უნდა უზრუნველყონ ინდივიდუალური მოწყობილობები მათი შვილებისთვის. შერეული სწავლების ფარგლებში სკოლამ უნდა უზრუნველყოს IT ინფრასტრუქტურის შესაბამისად შენარჩუნება, მოწყობა და გამართვა, რათა სასწავლო პროცესი წარიმართოს ტექნიკურად გამართულ გარემოში.

სკოლა უზრუნველყოფს მოსწავლეებს ელექტრონული ფოსტის მისამართებით, რათა უზრუნველყოს მონაცემთა უსაფრთხოება.

შეფასება და გამოხმაურება ონლაინ სწავლების დროს

მასწავლებლებმა რეგულარულად უნდა მიაწოდონ უკუკავშირი მოსწავლეებს განმავითარებელი თუ განმსაზღვრელი შეფასების სახით, რათა მოხდეს სწავლის ხარისხის და მოსწავლეთა პროგრესის მონიტორინგი და შენარჩუნება.